A017

ქვეიჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 1 მაისი 2013წ.

ერთის მხრივ, **შპს „საქართველოს მედია ჰოლდინგი“** წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ჭოლაძის სახით, შემდგომში წოდებული როგორც **„მეიჯარე“** და

მეორეს მხრივ **ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი “** წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ ჩერგოლეიშვილი სახით, შემდგომში წოდებული როგორც **„მოიჯარე“**

მეიჯარე და **მოიჯარე** ცალ-ცალკე მოხსენიებულნი არიან როგორც **„მხარე“**, ხოლო ერთად როგორც **„მხარეები“**

მხარეები მოქმედებენ რა საქართველოს კანონმდებლობისა და **შპს „საქართველოს მედია ჰოლდინგი“**-სა და **შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“**-ს შორის გაფორმებული 01 მაისს 2013 წლის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში **„ხელშეკრულება“**) და თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და მოთხოვნების თანახმად, მეიჯარე გადასცემს დროებით მფლობელობაში და სარგებლობაში მოიჯარეს უძრავ ქონებას საერთო ფართით 760 (შვიდას სამოცი) კვ.მ., მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას 75ბ, I-ი სართული 540კვმ. და II-ე სართული 220კვმ, საკადასტრო კოდი 01.10.13.030.010 (შემდგომში „საიჯარო ფართი“);

2. ხელშეკრულების მიზანი

წინამდებარე იჯარის ხელშეკრულებით მოიჯარეს საოფისე ფართი გადაეცემა საოფისე საქმიანობისათვის (შემდგომში „საოფისე საქმიანობა“).

3. გარანტიები და უფლებამოსილების დადასტურება

3.1. მხარეები აცხადებენ და გარანტიას იძლევიან, რომ:

3.1.1. მეიჯარეს საიჯარო ფართის კანონიერი და იურიდიულად რეგისტრირებული მესაკუთრისაგან მიღებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა წინამდებარე ქვეიჯარის ხელშეკრულების გაფორმებისათვის და რომ არ არსებობს სხვა სამართლებრივი ურთიერთობა საიჯარო ფართზე, გარდა წარმოშობილისა წინამდებარე ხელშეკრულებიდან.

3.1.2. მოიჯარე აცხადებს, რომ მისი მიზანია საიჯარო ფართის გამოყენება საოფისე საქმიანობისათვის და რომ საიჯარო ფართი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის.

3.1.3. მხარეებს გააჩნიათ იურიდიული უფლებამოსილება იკისრონ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და მიიღონ ყველა საჭირო ზომა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და შესრულების მიზნით.

3.1.4. ეს ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნა შესაბამისი წესით მხარეების მიერ და წარმოადგენს მხარეებისათვის იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტს.

3.1.5. ამ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მეიჯარე გადასცემს მოიჯარეს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საიჯარო ფართს.

4. საიჯარო თანხა და ანგარიშსწორების პირობები

4.1 წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, საიჯარო ფართისათვის ყოველთვიური საიჯარო თანხა შეადგენს 11800 ლარს დღგ-ს ჩათვლით. დაცვისა და კომუნალური გადასახადებების გადახდის ვალდებულებას კისრულობს მოიჯარე.

4.2ყოველთვიური საიჯარო ქირის გადახდა მოიჯარის მიერ იწარმოებს ყოველთვიურად, არაუგვიანეს ყოველი საანგარიშსწორებო თვის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, მეიჯარის საანგარიშსწორებო ანგარიშზე, წინასწარი

შემხვედრი პრეტენზიების გარეშე, თუკი სხვაგვარად არ იქნა დადგენილი წინამდებარე ხელშეკრულების სხვა პუნქტებით.

5. *მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

5.1. მეიჯარის უფლება-მოვალეობები:

5.1.1. მეიჯარე ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს მოიჯარეს საიჯარო ფართი დროებით მფლობელობასა და სარგებლობაში, გამოუყოს სატელეფონო ხაზი სარგებლობისათვის;

5.1.2. მეიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს მოიჯარე საიჯარო ფართში 24 საათიანი შეუზღუდავი შესვლის უფლებით, იმ პირობით, რომ მოიჯარე დაიცავს მეიჯარის მიერ მოიჯარისათვის შემუშავებულ უსაფრთხოების წესებს;

5.1.3. მეიჯარე დახმარებას გაუწევს მოიჯარეს ამ უკანასკნელის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, საიჯარო ფართში ნორმალური მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით მოიჯარის ხარჯზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების უზრუნველსაყოფად;

5.1.4. მეიჯარეს უფლება აქვს თვეში ერთხელ შეამოწმოს საიჯარო ფართის მდგომარეობა. შემოწმების შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს მოიჯარეს. დრო წინასწარ თანხმდება მოიჯარესთან. შემოწმება ხორციელდება მოიჯარის უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით;

5.1.5. საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში (მაგ. ხანძარი და ა.შ.) მეიჯარე უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შევიდეს საიჯარო ფართში, მათ შორის აუცილებლობის შემთხვევაში ძალისმიერი მეთოდებითაც. ასეთ შემთხვევაში მეიჯარე ვალდებულია ყველა ღონე იხმაროს მოიჯარის პირადი ქონების დაზიანებისაგან დასაცავად;

5.1.6. მეიჯარეს უფლება აქვს შეხედულებისამებრ ჩაატაროს შენობაში სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, გახსნას მასში კომერციული, სავაჭრო, გასართობი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტები, შეცვალოს, გადააადგილოს, გააკეთოს და შეამციროს შენობის საერთო სარგებლობის ფართი, ისე რომ საიჯარო ფართი დარჩეს შესაფერისად ხელმისაწვდომი და ამგვარმა ობიექტებმა არ შეზღუდონ და შეაფერხონ მოიჯარის შესაძლებლობა საიჯარო ფართში აწარმოოს შესაბამისი საქმიანობა;

5.1.7. მეიჯარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს, შეაჩეროს ან შეამციროს გათბობის, კონდიცირების, ელექტრომომსახურების, დაცვის, დასუფთავებისა და სხვა მომსახურებების მიწოდება, აგრეთვე წყალ-კანალიზაციის სისტემების მუშაობა, თუკი ასეთი შეწყვეტა, შემცირება ან შეჩერება აუცილებელია რაიმე შემთხვევის ან გადაუდებელი გარემოებების გამო, ან იმ სარემონტო სამუშაოების, ცვლილებების ან გაუმჯობესებების მიზნით, რომელთა განხორციელებაც აუცილებელია მოიჯარის დასაბუთებული გადაწყვეტილებით. მეიჯარე ვალდებულია შეატყობინოს მოიჯარეს ამგვარი შეწყვეტის, შეჩერების ან შემცირების შესახებ 24 (ოცდაოთხი) საათით ადრე მაინც, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საჭიროა გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების დაუყოვნებლივ ჩატარება.

5.2 მოიჯარის უფლება-მოვალეობები:

5.2.1. მოიჯარე ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიიღოს დროებით მფლობელობასა და სარგებლობაში საიჯარო ფართი საოფისე საქმიანობის განსახორციელებლად და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკუთარი სახსრებით შეინარჩუნოს ვარგის მდგომარეობაში;

5.2.2. მოიჯარე ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდა დადგენილი წესითა და პირობებით;

5.2.3. მოიჯარე უფლებამოსილია საკუთარი ხარჯით განახორციელოს საიჯარო ფართის შიდა-სტრუქტურის ცვლილება, ასევე სარემონტო სამუშაოები, თუკი ასეთი აუცილებელია მისი ყოველდღიური საქმიანობის განსახორციელებლად. მსგავსი ხასიათის ცვლილებები საჭიროებს მეიჯარის წინასწარ წერილობით თანხმობას. თანხმობის არარსებობის შემთხვევაში მეიჯარეს უფლება აქვს შეასწოროს ან მოხსნას ამგვარი ცვლილება და სამუშაოებისათვის გაწეული ნებისმიერი ხარჯის ანაზღაურება დამატებითი საიჯარო თანხის სახით მოსთხოვოს მოიჯარეს; მეიჯარე ასეთი ხარჯების ასანაზღაურებლად მოიჯარეს წარუდგენს შესაბამის ინვოისს;

5.2.4. მოიჯარე უფლებამოსილია, წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე საიჯარო ფართში საკუთარი პასუხისმგებლობით ჩაატაროს ყველა ფუნქციონალური მოწყობილობების მონტაჟი, ხოლო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ მოხსნას მის მიერ დამონტაჟებული მოწყობილობა-დანადგარები და ინტერიერის ელემენტები (ავეჯი, შიდა კარებები, ჭალუზები და ა.შ.);
5.2.5. საიჯარო ფართში არსებული პირადი ქონების მოვლაზე და მათგან გამოწვეულ რისკებზე პასუხისმგებელია მოიჯარე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ქონების დაზიანება ან/და დაკარგვა გამოწვეული იქნა მეიჯარის დაუდევრობით;
5.2.6. მოიჯარის კუთვნილი საოფისე მოწყობილობები, მექანიკური აღჭურვილობა და მასალები, რომლებიც იწვევენ ვიბრაციას, ხმაურს, გამოყოფენ ცივ ან ცხელ ჰაერს ან/და ბოლს/სუნს, რომლებიც შესაძლოა გავრცელდეს შენობაში ან იჯარით გაცემულ სხვა ფართზე ისე, რომ იწვევენ მეიჯარის ან შენობაში მყოფ სხვა მოიჯარეთა უკმაყოფილებას იზოლირებული და/ან გატანილი უნდა იქნას მოიჯარის მიერ მისივე ხარჯებით;
5.2.7. საკუთარი მიზეზით საიჯარო ფართის ან შენობის დაზიანების შემთხვევაში, მოიჯარე ვალდებული საკუთარი ხარჯებით აუნაზღაუროს მეიჯარეს მიყენებული ზარალი და მოიყვანოს საიჯარო ფართი ან/და შენობა ამგვარი ზიანის დადგომამდე არსებულ მდგომარეობაში;
5.2.8. მოიჯარისათვის გადაცემული მეიჯარის კუთვნილი მატერიალური ფასეულობების დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში მოიჯარე ვალდებულია შეაკეთოს, აღადგინოს, ან/და აუნაზღაუროს მეიჯარეს ზარალი;
5.2.9 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მოიჯარეს უფლება აქვს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუზღუდავად ისარგებლოს საიჯარო ფართით და საერთო სარგებლობის ფართით კვირაში 7 (შვიდი) დღის განმავლობაში (უქმე დღეების ჩათვლით);
აგრეთვე:

- მოათავსოს შესაბამისი ემბლემა, განმასხვავებელი ნიშნები და აბრები თვალსაჩინო ადგილზე, როგორც საიჯარი ფართის გარეთ, ისე მის შიგნით, რომელთა გარეგნული იერსახე, დიზაინი და ზუსტი ადგილმდებარეობა ექვემდებარება დამატებით შეთანხმებას მეიჯარესთან;
- განათავსოს უსაფრთხოებისათვის საჭირო შესაბამისი მოწყობილობა საიჯარო ფართის შიგნით. უზრუნველყოს საიჯარო ფართის დაცვა შესაბამისის სამსახურების მიერ (დაცვის თანამშრომლები შეიძლება განთავსდნენ მხოლოდ საიჯარო ფართის შიგნით. მათი უფლება - შეაჩერონ, შეამოწმონ ან სხვაგვარად შეაყოვნონ ნებისმიერი პირი, ვრცელდება მხოლოდ საიჯარო ფართის ტერიტორიაზე); მოიჯარის კუთვნილი ყველა სახის მოწყობილობა და დანამატი, განთავსებული საიჯარო ფართის შიგნით თუ გარეთ, წარმოადგენს მოიჯარის ქონებას და შეიძლება მოიხსნას წინამდებარე ხელშეკრულების ან მისი გაგრძელების ვადის გასვლის ან შეწყვეტისას.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულების ბრალეულად დარღვევის შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ასეთი მოქმედებით გამოწვეული ზიანი;
6.2 მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის გადახდის დაგვიანების შემთხვევაში მოიჯარეს დაეკისრება ჯარიმა საიჯარო ქირის 0.2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

7. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, თუ მათი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეული იქნა მათთვის დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორის) მოქმედების პირობებში. ასეთ გარემოებებად მიიჩნევა: ომი, საბრძოლო მოქმედებები, სტიქიური უბედურება, დივერსია, ხანძარი, წყალდიდობა ან ნებისმიერი სხვა მსგავსი სახის ბუნებრივი მოვლენა, ან ნებისმიერი ისეთი გარემოება, რაც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს;
7.2 დაუძლეველი ძალის მოქმედების დაწყების შემდეგ მხარე აგზავნის შესაბამის შეტყობინებას, სადაც მიუთითებს ასეთი გარემოებების წარმოშობასა და მოქმედების სავარაუდო ვადას.

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ საიჯარო ფართის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2014 წლის 1 იანვრამდე.
8.2. ხელშეკრულების ვადის დასრულების შემდგომ მოიჯარე ვალდებულია გაანთავისუფლოს საიჯარო ფართი ამგვარის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;
8.5. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა არ ართმევს მხარეებს უფლებას მოითხოვონ განუხორციელებელი ვალდებულების შესრულება, თუკი ამგვარი ვალდებულებები წარმოიშვა და არსებობდა ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

9. საიჯარო ფართის გადაცემისა და დაბრუნების წესი

9.1 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მეიჯარე გადასცემს, ხოლო მოიჯარე იღებს საიჯარო ფართს დროებით მფლობელობასა და სარგებლობაში; მიღება-ჩაბარების აქტი თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (დანართი №1);
9.2. ხელშეკრულების ვადის დასრულების ან შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეთა მიერ დგება საიჯარო ფართის მიღება-ჩაბარების აქტი. მიღება-ჩაბარების აქტზე დასმული თარიღი წარმოადგენს ამ ხელშეკრულების მოქმედების დასრულების ნამდვილ თარიღს და საბოლოო საიჯარო თანხის გადახდა მოხდება აღნიშნული თარიღის საფუძველზე.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება წყდება ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებისას ან მხარეთა შეთანხმებით;
10.2.მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
10.3.მეიჯარის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა:
10.3.1. თუკი მოიჯარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და მიუხედავად მეიჯარის წერილობითი შეტყობინებისა არ გამოასწორებს მას, მეიჯარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ამის თაობაზე 20 (ოცი) დღით ადრე გაგაზავნილი შეტყობინების საფუძველზე;
10.3.2. თუკი მთლიანად შეიცვლება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოიჯარის საქმიანობის მიზნები საიჯარო ფართში, მეიჯარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება ამის თაობაზე მოიჯარისათვის 30 (ოცდაათი) დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.
10.4. მოიჯარის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა:
10.4.1. თუკი წინაწარი წერილობითი გაფრთხილების მიუხედავად მეიჯარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და არ გამოასწორებს მას გონივრულ ვადაში, მოიჯარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ამის თაობაზე მეიჯარისათვის 30 (ოცდაათი) დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;
10.4.2.მოიჯარის ლიკვიდაციის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან მისი საიჯარო ფართიდან გასვლის გარდაუვალი აუცილებლობის შემთხვევაში, მოიჯარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება მისი მოქმედების ვადის დასრულებამდე, მეიჯარისათვის 30 (ოცდაათი) დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

11. დავათა გადაწყვეტა

11.1. მხარეები იღებენ ყველა ზომას, რათა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა ან წინააღმდეგობა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით;
11.2. საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერ დავა, მათ შორის თვით ამ ხელშეკრულების არსებობის, ნამდვილობის, შეწყვეტის ან ბათილობის საკითხი განიხილება და გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მიერ.

12. დასკვნითი დებულებები

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება და მისგან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

12.2 ნებისმიერ ცვლილებას ან დამატებას ძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი შედგენილია წერილობით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ;
12.3. არც ერთ მხარეს არ ააქვს უფლება მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე გადასცეს სხვა პირს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი უფლებები;
12.4 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პუნქტის შეცვლა, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა გავლენას არ იქონიებს მხარეების მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შესრულებაზე;
12.5. წინამდებარე ხელშეკრულების თითოეული მუხლი, პუნქტი მათ შორის თითოეული დანართი ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია;
12.6. წინამდებარე ხელშეკრულება და დანართები შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომლებიც გადაეცათ მხარეებს,

13 მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

"მეიჯარე"	„მოიჯარე“
შპს "საქართველოს მედია ჰოლდინგი“	ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“
მის: ქ.თბილისი, კოსტავას ქ. №75ბ საიდ/კოდი 404918513 სს "ბაზისბანკი" ბანკის კოდი CBASGE22 ა/ა GE73 BS 00 0000 00 47 1361 93	მის: ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. 67, ბ. 4 საიდ/კოდი 202463379 სს “ლიბერთი ბანკი”-ს ც/ფ ” ბ/კ LBRTGE22 ა/ა GE25LB0610008036087540 თამარ ჩერგოლეიშვილი დირექტორი
დირექტორი გიორგი ჭოლაძე	
_____	_____

დანართი №1
2013 წლის 1 მაისის ქვეიჯარის ხელშეკრულებაზე

მიღება - ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი

01 მაისი 2013 წელი

მხარეთა შორის 2013 წლის 1 მაისს გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკრულების საფუძველზე *მეიჯარემ* გადასცა და *მოიჯარემ* მიიღო დროებით მფლობელობასა და სარგებლობაში უძრავი ქონება საერთო ფართობით 760კვ/მ, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას 75ბ, I-ი სართული 540კვმ. და II-ე სართული 220კვმ, საკადასტრო კოდი 01.10.13.030.0100;

საიჯარო ფართის მიღება-ჩაბარების პროცესში მხარეებს ერთმანეთის მიმართ რაიმე პრეტენზია არ გამოუთქვამთ, რის დასტურადაც მხარეები ხელს აწერენ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს:

“მეიჯარე”	**„მოიჯარე“**
შპს ”საქართველოს მედია ჰოლდინგი“	**აიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“**
მის: ქ.თბილისი, კოსტავას ქ. №75ბ საიდ/კოდი 404918513 სს "ბაზისბანკი" ბანკის კოდი CBASGE22 ა/ა GE73 BS 00 0000 00 47 1361 93	მის: ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. 67, ბ. 4 საიდ/კოდი 202463379 სს “ლიბერთი ბანკი”-ს ც/ფ ” ბ/კ LBRTGE22 ა/ა GE25LB0610008036087540
დირექტორი გიორგი ჭოლაძე	თამარ ჩერგოლეიშვილი დირექტორი
_____	_____

სამოქალაქო განათლების ფონდი 202463379